



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

3 აგვისტო 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №143

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში გამწვევი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 15 აგვისტოს №111 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში გამწვევი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 15 აგვისტოს №111 ბრძანებაში და ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გამწვევი კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს:

ა) ალექო მამეშვილი - კომისიის თავმჯდომარე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ) ილია ლეჟავა - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის უფროსი;

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) ირაკლი შავიშვილი - საქართველო შ.ს.ს. გურიის მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

გ.ბ) ნანა ნაცვალაძე - ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი;

გ.გ) ნათია ვაშალომიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი;

გ.დ) დავით არობელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში;

დ) ცილა სირაძე - კომისიის მდივანი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;“

მუხლი 2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი